მრჩეველი
სამედიცინო ცენტრი
ლიმბახის ჯგუფი

დილის პირველი შარდის შეგროვება

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენმა ექიმმა დაგინიშნათ კვლევა, რომლის-თვისაც საჭიროა დილის პირველი შარდის აღება.

დილის პირველი შარდი გულისხმობს პირველ შარდს, რომელიც გამოყოფილია დილით, გაღვი-ძების შემდეგ, პირველი მოშარდვის დროს, საუზმემდე და ფიზიკურ აქტივობამდე.

მნიშვნელოვანია სინჯი სწორად შეგროვდეს.

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- შარდის შესაგროვებელი ერთჯერადი კონტეინერი

როგორ ხდება დილის პირველი შარდის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- დილის პირველი შარდი უნდა შეგროვდეს გაღვიძებისთანავე, პირველივე მოშარდვისას, საუზმემდე და ფიზიკურ აქტივობამდე;
- სქესობრივ კავშირს მოერიდეთ შარდის აღებამ-დე ერთი დღით ადრე;
- პირველ რიგში, შარდის შესაგრო-ვებელ კონტეინერს, დააწერეთ: სახელი, გვარი, დაბადების თარი-ღი, შარდის აღების თარიღი და დაიდეთ ახლოს, ხელმისაწვდომ ადგილას;



- ხელები კარგად დაიბანეთ საპნითა და წყლით და გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით.

პროცესის აღწერა

1. დაიბანეთ სასქესო ორგანოები

ქალები: ერთი ხელით გადაწიეთ სასქესო ბაგეები და კარგად დაიბა-ნეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე), მიმართულებით: წინიდან ➔ უკან. შემდეგ გაიმშრა-ლეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე გადაწეული გქონდეთ სასქესო ბაგეები. მენსტრუა-ციის დროს შარდის აღება რეკომენ-დებული არ არის. აუცილებლობის დროს, საჭიროა ტამპონის გამოყენება.

კაცები: მთლიანად გადაწიეთ ჩუჩა და ასოს თავი კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე). შემდეგ კარგად გაიმშრა-ლეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე ჩუჩა გქონ-დეთ გადაწეული.

2. შეაგროვეთ დილის პირველი შარდი



დაიწყეთ მოშარდვა ტუალეტში, დაახლოებით 3 წამის განმავლო-ბაში. შემდეგ შეაგროვეთ, დაახლოე-ბით, 20-30 მლ შარდი შარდის ერთჯერად კონტეინერში, ნაკადის შეწყვეტის გარეშე. შარდის კონტე-ინერი არ უნდა ეხებოდეს სხეულს. შარდის კონტეინერი მოაცილეთ შარდის ნაკადს შარდვის დასრულე-ბამდე. მოშარდვა დაასრულეთ ტუა-ლეტში.

3. შარდის კონტეინერს ფრთხილად და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური

აღებული მასალა დროულად მიი-ტანეთ ლაბორატორიაში. ლაბორა-ტორიაში მიტანამდე შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2 - 8°C).